


ვერსიის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში

თამარ მახარობლიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული სამეტყველო ენის კატეგორიისაგან განსხვავებით, ვერსიის კატეგორია ქართულ ჟესტურ ენაში სრულიად შეუსწავლელია. ფაქტობრივად, წინამდებარე ნაშრომი განლავთ ამ საკითხის პირველი კვლევა.¹

წარმოგიდგენთ ვერსიის კატეგორიის მოდელს ამ ენაში:

მოდელი I.




ობიექტური ვერსიის შიგნით ფორმათა ამ ტიპის დიფერენციაცია არ არის ორიგინალური ქართულ ჟესტურ ენაში. ნ. მაჭავარიანის მიხედვით, იგივე მოდელი არსებობს სამეტყველო აფხაზურშიც [მაჭავარიანი 2006], სადაც არის სასაგებლო და საზიანო (ბენეფაქტიური და მალეფაქტიური) საოპოზიციო ფორმები ობიექტური

1 ქართული ჟესტური ენის კვლევის პროექტი განხორციელდა USAID-ისა და არასამთავრობო ორგანიზაცია Save the Children International-ის მხარდაჭერით. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ყრუ მეგობრებს: ნათია და ლალი ჯაფოშვილებს, რომელთა ფოტოებიც თან ახლავს ამ ნაშრომს, ყრუ ოპერატორსა და გრაფიკოსს ფარხად აბასოვს. გამორჩეულად მინდა მოვიხსენიო საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტი, ქართული ჟესტური ენის ექსპერტი, ამ ენის მატარებელი ამირან ბატატუნაშვილი, ასევე ვიცე-პრეზიდენტი მაია მეტონიძე და მათი ფასდაუდებელი წვლილი ქართული ჟესტური ენის შესწავლის საქმეში.

ვერსიის შიგნით. ქ. ლომთათიძე წერს სამეტყველო აფხაზურში ამავე სახის ქვეოპოზიციის კონტენტის შესახებ ობიექტური ვერსიის ფარგლებში [ლომთათიძე 1947]. აღსანიშნავია, რომ მას აფხაზური ზმნის რეფლექსივის ფორმები არ მიაჩნია სუბიექტური ვერსიის ფორმებად.


ვერსიის კატეგორიას ქართულ შესტურ ენაში არ გააჩნია თავისებური ფორმები. ამ ენაში ყველა ზმნა ერთ მოდელს მიჰყვება. ვერსიის კატეგორიის გრამატიკული და სემანტიკური მნიშვნელობების საოპოზიციო ფორმების გადმოსაცემად ქართული შესტური ენა სპეციალურ შესტებს გამოიყენებს.

ქვემოთ მოყვანილი ორხელიანი სიმეტრიული შესტი არის ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფორმების გამომხატველი შესტი, რომელიც დამოუკიდებლად ნიშნავს „პატივისცემას“. ამ შესტით გამოხატული ვერსია უჩვენებს პატივისცემას ირიბი ობიექტის მიმართ.



სურათი 1. ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფორმების მარკერი

ეს არის შესტი გაშლილი ცერით და ნეკით, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ხელისგული მიემართება სხეულისკენ, შესტის მოძრაობის ვექტორი კი მიემართება წინ და ზემოთ. ერთხელიანი იგივე ნიშანი გამოიყენება ირიბი ობიექტის გადმოსაცემად:




სურათი 2. ირიბი ობიექტის ნიშანი

ზემოთ მოყვანილი შესტი გამოიყენება ირიბი ობიექტის მნიშვნელობის გადმოსაცემად ნაცვალსახელის მაგივრად. ეს შესტი მიემართება ირიბი ობიექტისკენ. როცა ზმნაში არის ეს მარკერი, მაშინ იქ ობიექტური ვერსიის პატივისცემითი შესტი აღარ არის წარმოდგე-

ნილი. ჟესტურ ენათათვის დამახასიათებელი ლაკონიზმის პრინციპიდან გამომდინარე, არც ერთი ჟესტური ენა არ უშვებს რეფერენტთა სიჭარბეს. ობიექტის ნიშნების არსებობა ათავისუფლებს სიტყვათა რიგს ქართულ ჟესტურ ენაში.

ობიექტურ ვერსიას შეიძლება ჰქონდეს პატივისცემითი ან უპატივცემლო ფორმები.

უპატივცემლო ფორმების მარკერი არის ერთხელიანი ორფაზიანი დინამიკური ჟესტი წინ გაშლილი საჩვენებელი და ნეკი თითებით, დანარჩენი თითებით კი შეკრულია მუშტი. ხელისგული მიმართულია ქვემოთ. ჟესტის დინამიკა განთავსებულია მკერდის ღონებზე და წინ მიემართება.



სურათი 3. ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმების მარკერი

შეადარე შემდეგი ფორმები:




სურათი 4. ვუკეთებ (მე მას მას)



სურათი 5. ვუკეთებ (მე მას მას)

ჩვენ გააზრებულად წარმოვადგენთ მხოლოდ ზმნის ფორმებს შესაბამისი ნაცვალსახელების – ზმნის პირების გარეშე. მეოთხე სურათზე პირველ ორ ფოტოზე ასახულია ზმნა კეთება – ძირითადი ლექსიკური ფორმა, ხოლო მესამე და მეოთხე ფოტოებზე წარმოდგენილია ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფესტები. მეხუთე სურათზე წარმოდგენილია იგივე ზმნა ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმებით. უპატივცემლობის მარკერი წარმოდგენილია მესამე და მეოთხე ფოტოებზე. ეს ბოლო ფორმა ნიშნავს შემდეგს – მე ვუკეთებ რაღაცა უსიამოვნოს (უპატივცემლოს) მას – ირიბ ობიექტს.


სუბიექტური ვერსიის მარკერი, რომელიც ხშირად ჩნდება ზმნის ლექსიკური ფესტის წინ, არის ორხელიანი ასიმეტრიული ფესტი მარჯვენა დომინანტური ხელით, მკერდის დონეზე სხეულის პარალელურად განთავსებული, ზემოთ მიმართული ღია ხელისგულით და პასიური პოზიციის მარცხენა ხელის ასევე ზემოთ მიმართული ხელისგულით. პირველ ფაზაში მარჯვენა ხელი დაცილებულია პასიური ხელის პოზიციას, მეორე ფაზაში კი მარჯვენა ხელის ცერა თითი საჩვენებელი და შუა თითების წვერებს ეხება და ხელი მარცხენა ხელისგულს ზემოდან ედება. ეს მარკერი, როგორც დამოუკიდებელი ფესტი, ნიშნავს სიტყვას „საკუთრება“ [მახარობლიძე 2012].



სათავისო ქცევის ნიშანი

სურათი 6. სუბიექტური ვერსიის მარკერი

უმეტეს შემთხვევაში ზმნის პირები ნაცვალსახელებითაა წარმოდგენილი. ეს ასევე შესაძლოა, იყოს ფესტური მეტსახელები ან ქართული დაქტილური ანბანით წარმოდგენილი საკუთარი სახელები. ასეთ შემთხვევაში ხშირად მიმართების ნიშანი მოჰყვება ირიბ ობიექტს. მიმართების ნიშანი ასე გამოიყურება:



სურათი 7. მიმართების ნიშანი

ეს არის ერთხელიანი ორფაზიანი უესტი წინ გაშვებული საჩვენებელი თითით, დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული და ხელისგული ქვემოთ მიემართება. ეს ნიშანი ზმნის მორფოლოგიურ პირთათვის გადმოსცემს დატივის შინაარსს. როდესაც ზმნის პირები ნაცვალსახელებითაა წარმოდგენილი, ამ უესტის საჭიროება მოხსნილია. ქართული უესტური ენა უპირატესობას ანიჭებს მიმართების ნიშნის გამოყენებას საზოგადო ან დაქტილით წარმოდგენილი საკუთარი სახელებით გადმოცემული ზმნის პირების ასახვისას. თუმცა ზოგჯერ დაქტილით წარმოდგენილი საკუთარი სახელების შემთხვევაში შესაძლოა, მიცემითი ბრუნვის ნიშანი (-ს) იყოს დაქტილით წარმოდგენილი – სამეტყველო ქართული ენის კალკირებისას.

ქვემოთ მოყვანილ ფორმებში ჩვენ გააზრებულად ვარიდებთ თავს ზმნის პირების წარმოჩენას და წარმოვადგენთ მხოლოდ სუბიექტსა და ზმნას, რათა მეტი ყურადღება გავამახვილოთ უშუალოდ ვერსიის კატეგორიაზე. შეადარეთ ფორმები:



სურათი 8. მე ვაშენებ მას

მე ვაშენებ მას – ეს არის ნეიტრალური ვერსია, აღუნიშნავი ანუ არამარკირებული ფორმა. პირველი გრაფიკული ნახატი გვიჩვენებს ნაცვალსახელით გადმოცემულ პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის სუბიექტს – მე. ხშირად ამ ტიპის ფორმებში ეს ნაცვალსახელი გამო-

ტოვებულია, რამდენადაც უნივერსალურია, რომ სხეული აღნიშნავს სუბიექტს [მიირი... 2006]. მეორე და მესამე ნახატებზე წარმოდგენილია შენება ზმნის აღმნიშვნელი ძირითადი ლექსიკური უესტი. აქ არ არის წარმოდგენილი სამეტყველო ენის შესაბამისი ვერსიის საოპოზიციო ფორმის ნიშანი. ნეიტრალური ვერსიის ნიშანი უესტურს აქ მოეპოვება. ეს არის ნულოვანი ფორმა.



სურათი 9. მე ვიშენებ მას

მე ვიშენებ მას – ეს არის სუბიექტური ვერსია და მეოთხე და მეხუთე გრაფიკული ნახატები ასახავენ სუბიექტური ვერსიის ნიშანს.



სურათი 10. მე ვუშენებ მას მას

მე ვუშენებ მას მას – ეს არის ობიექტური ვერსიის ფორმა. მეოთხე და მეხუთე გრაფიკული ნახატები ასახავენ ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფორმების ნიშანს.



სურათი 11. მე ვუშენებ მას მას

მე ვუშენებ მას მას – ეს არის ობიექტური ვერსიის ფორმა. მეორე გრაფიკული ნახატი გადმოსცემს მესამე პირის ირიბ ობიექტს მხოლოდ რიცხვში. მესამე და მეოთხე ნახატები გამოსახავენ ამ ზმნის

ძირითად ლექსიკურ შინაარსს, ხოლო მეხუთე და მეექვსე გრაფიკულ ნახატებზე წარმოდგენილია ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმების მარკერი.



სურათი 12. მე ვწერ მას

ვწერ (მე მას) – ეს არის ორპირიანი გარდამავალი ზმნა ნეიტრალური ვერსიის ნულოვანი მარკირების ფორმით. მეორე და მესამე ფოტოებზე პანტომიმური მრავალფაზიანი უესტით გამოხატულია „წერა“ ზმნის ძირითადი ლექსიკური შინაარსი და ბოლო მეოთხე ფოტოზე გამოსახულია პირდაპირი ობიექტი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული უესტური ენა პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის სუბიექტსა და მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის პირდაპირ ობიექტს იშვიათად გადმოსცემს. ამრიგად, ზემოთ მოცემული ფორმის შინაარსის წარმოდგენა მხოლოდ მეორე და მესამე ფოტოებითაც არის მისაღები.



სურათი 13. მე ვწერ მას მას

ვწერ (მე მას მას) – ეს არის ნეიტრალური ვერსიის სამპირიანი გარდამავალი ზმნა, აღუნიშნავი ფორმა. ბოლო ორი ფოტო გამოსატავს პირდაპირ და ირიბ ობიექტებს.



სურათი 14. მე ვაწერ მას მას

ვაწერ (მე მას მას) – ეს არის სამპირიანი გარდამავალი ზმნის საზელო ფორმა. ქართულ შესტურ ენაში საზედაოს არ გააჩნია თავისი რეფერენტი. ყველა ზმნა მისი კინეტიკისთვის მოსახერხებელ ფორმას გამოიყენებს საზედაოს შესაბამისი შინაარსის გადმოსაცემად. მესამე და მეოთხე ფოტოებზე ასახულია სუპერესივის (საზედაოს) კონტენტი, ხოლო ბოლო ფოტო კი გვიჩვენებს ირიბ ობიექტს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის პირდაპირი ობიექტის ასახვა არაობლიგატორულია ენაში.



სურათი 15. მე ვიწერ მას

ვიწერ (მე მას) – არის ორპირიანი გარდამავალი ზმნის სათავისო ვერსიის ფორმა. სათავისო ქვევის ნიშანი წარმოდგენილია მეოთხე და მეხუთე ფოტოებზე ორფაზიანი შესტით, რომელსაც მოჰყვება ბოლო, მეხუთე ფოტოზე გამოსახული პირდაპირი ობიექტის ამსახველი შესტი. სათავისო ქვევის მარკერი ზოგჯერ ზმნის ძირითადი ლექსიკური შესტის წინაც გვხვდება, როგორც ეს წარმოდგენილია მე-16 სურათზე:



სურათი 16. მე ვიწერ მას

ვიწერ (მე მას) – ამ ფორმაში სუბიექტური ვერსიის მარკერი მეორე და მესამე ფოტოებზეა წარმოდგენილი. ის პირდაპირ მოჰყვება სუბიექტის ამსახველ შესტს და წინ უძღვის ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის შესტს.



სურათი 17. მე ვუწერ მას მას

ვუწერ (მე მას მას) – ეს არის სამპირიანი გარდამავალი ზმნის ობიექტური ვერსიის ფორმა. მეორე და მესამე ფოტოებზე გამოსახული ირიბი ობიექტის ერთხელიანი ფესტით გადმოცემული მარკერი მოჰყვება სუბიექტის ფესტს და წინ უძღვის ბოლო ორ ფოტოზე აღბეჭდილ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ფესტს. ირიბი ობიექტის ასეთი მარკირება მოიაზრებს ობიექტური ვერსიის კონტენტს, რამდენადაც გამოხატავს დაინტერესებულ ირიბ ობიექტს, და აქ უკვე აღარ გვაქვს ამ ვერსიის შესაბამისი ნიშანი – ორხელიანი სიმეტრიული ფესტი.



სურათი 18. მე ვუწერ მას მას

ვუწერ (მე მას მას) – არის სამპირიანი გარდამავალი ზმნის ობიექტური ვერსიის ფორმა. ირიბი ობიექტის გამომსახველი ფესტი მოჰყვება სუბიექტის ფესტს და მეორე ფოტოზეა მოცემული. ბოლო ორი ფოტო კი ასახავს ობიექტური ვერსიის პატივისცემითი ფორმების მარკერის ორხელიან სიმეტრიულ ფესტს.



სურათი 19. მე ვუწერ მას მას

ვუწერ (მე მას მას) – ეს არის სამპირიანი გარდამავალი ზმნის ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმა, სადაც ირიბი ობიექტის ფესტი მოჰყვება პირველ სურათზე ასახულ სუბიექტს და ბოლო ორ

სურათზე წამოდგენილია ობიექტური ვერსიის უპატივცემლო ფორმის მარკერი.

ქართულ შესტურ ენაში ვერსიის სემანტიკური კატეგორია კარგად არის გაფორმებული სათანადო მარკერებით – ამ შემთხვევაში შესტებით. კოსტელო წერს ამერიკული შესტური ენის შესახებ „ბევრ შემთხვევაში ინგლისურ ენაში აფიქსით გადმოცემული მნიშვნელობების რეალიზება ამერიკულ შესტურ ენაში ხერხდება სხვადასხვა ტიპის დამოუკიდებელი შესტებით“ [კოსტელო 1994:XX]. იგივე სახის მოვლენა გვაქვს, როდესაც ქართულ შესტურ ენაში ადგილი აქვს ქართული სამეტყველო ენიდან ვერსიის კატეგორიის კოპირებას – თავს იჩენს კატეგორიის საოპოზიციო ფორმების ამსახველი დამოუკიდებელი ოდენ გრამატიკული მნიშვნელობის შესტები, როგორც კატეგორიის კინეტიკური მარკერები. ეს შესტები უმეტეს შემთხვევაში უკან მოსდევს ზმნის ძირთადი ლექსიკური ერთეულის აღმნიშვნელ ფორმა-შესტს. მხოლოდ სასუბიექტო ვერსიის ნიშანი შეიძლება ზოგჯერ წინ უძღოდეს კინეტიკურ ლექსიკურ ერთეულს.

ქართულ შესტურ ენას ქართული სამეტყველო ენიდან გადმოაქვს ვერსიის სამგანზომილებიანი კატეგორიის ძირითადი სემანტიკა და უმატებს მას ობიექტური ვერსიის ორი ტიპის ფორმებს – პატივისცემით და უპატივცემლო ფორმათა შიდა ოპოზიციას. რამდენადაც ქართული შესტური ენა არ განასხვავებს გვარის კატეგორიას, შესაბამისად, არანაირი სხვაობა არ არსებობს ქცევის კატეგორიის შიგნით გვარის თვალსაზრისით. ვერსიას შესტურში აქვს კატეგორიის უნიფიცირებული, საერთო მოდელი ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე. ქართულ შესტურ ენაში ყველა ზმნას აქვს ვერსიული ფორმების ერთიანი სისტემა და აქ არა გვაქვს კატეგორიის თავისებურებები.

ქართულ სამეტყველო ენაში საკმაოდ საინტერესო სხვაობაა ფორმათა შორის ვერსიის კატეგორიის მარკირებაში. ეს მარკერები არის პოლიფუნქციური ხმოვანი პრეფიქსები. ქართულ შესტურ ენაში კი ეს ძირითადად სუფიქსური პოზიციის კინეტიკური მარკერებია და ზმნის ძირითადი ლექსიკური ერთეულის შემდგომი პოზიცია უკავიათ (ზემოთ აღნიშნული მცირე გამონაკლისის გარდა).

- ა. კენდონის [1944] მიხედვით არსებობს სამი ტიპის შესტები:
 1. იკონური შესტები, რომლებიც ობიექტს, მოქმედებას ან აღწერილ ფენომენს ასახავენ;
 2. მეტაფორული შესტები, რომლებიც ზოგად მეტაფორებს წარმოადგენს;
 3. დეიქტიური ანუ მიმათითებელი შესტები.


ქართულ ჟესტურ ენაში არსებული ობიექტური ვერსიის მარკერები წარმოგვიდგება, როგორც კომბინირებული სახის ჟესტები. ადგილი აქვს მეტაფორული და დეიქტიური ტიპების კომბინაციას, რამდენადაც პირველადი სემანტიკური კონტენტის გარდა, ეს ჟესტები ასევე მიემართება ირიბი ობიექტისკენ. რაც შეეხება სუბიექტური ვერსიის ჟესტს, ეს არის მეტაფორული ჟესტი.

ძალიან ხშირად ჟესტური ენებიდან სამეტყველო ენებზე ზმნები ითარგმნება ინფინიტივის ფორმით. თავის წიგნში „ამერიკული ჟესტური ენა“ ჩ. ბეიკერ-შენკი და დ. კოკელი წერენ, მიცემა, ზმნის შესახებ: „ინგლისური ენისგან განსხვავებით ეს ზმნა იშვიათად ნიშნავს „მიცემას“. ამის ნაცვლად ზმნის თითოეული ფორმა ძირითადად შეიცავს სუბიექტსა და ობიექტს. სამწუხაროდ, ამ ტიპის მიმართულებითი ზმნების გადმოტანა უმეტესი ჟესტური ენებიდან ხდება ინფინიტივით, რაც ქმნის ყალბ შთაბეჭდილებას – თითქოს ეს ინგლისური ინფინიტივის მსგავსი ფორმებია (მაგალითად, როგორცაა ფორმა „მიცემა“). ეს ზმნები უნდა განიხილებოდეს თავისი ზმნური პირებით“ [ბეიკერ-შენკი... 1991:248]. ქართული ენის სისტემისთვის ამ ტიპის ფორმათა პოლიპერსონალური გაგება ბუნებრივი მიდგომაა და ასეთი ზმნები მუდამ შესაბამისი პოლიპერსონალური ფორმით გადმოდის სამეტყველო ენაში, მიუხედავად იმისა, რომ მორფოლოგიური მარკირება დამოუკიდებელი ჟესტებით ხდება ენაში.

საერთოდ, ჟესტურ ენებში ზმნები პოლიპერსონალურია იქაც კი, სადაც ასეთი პოლიპერსონალიზმი არ არსებობს შესაბამის სამეტყველო ენებში. ვერსიის კატეგორია, როგორც პოლიპერსონალური ზმნის კატეგორია, ეყრდნობა ქართული სამეტყველო ენის პოლიპერსონალური ზმნის სისტემას და, შესაბამისად, არანაირი მორფოლოგიური პრობლემა არ არსებობს ვერსიის ფორმათა ადეკვატური თარგმანისთვის ჟესტურიდან სამეტყველო ენაზე.

დასკვნები

- ქართულ შესტურ ენაში აღინიშნება ვერსიის კატეგორიის ასეთი მოდელი:



- ქართული შესტური ენა ახდენს ვერსიის კატეგორიის კოპირებას ქართული სამეტყველო ენიდან. ამავდროულად შესტური ამდიდრებს სამეტყველო ენის ვერსიის სამგანზომილებიან სისტემას ობიექტური ვერსიის ორი ტიპის ფორმებით – პატივისცემითი და უპატივცემლო. შესტურში ამ კატეგორიის მიხედვით არა გვაქვს თავისებური ფორმები.
- სამეტყველო ენისგან განსხვავებით ქართული შესტური ენა არ განასხვავებს გვარის კატეგორიას და ამიტომაც აქ არის ვერსიის კატეგორიის უნიფიცირებული მოდელი.
- ქართული შესტური და სამეტყველო ენები ვერსიის კატეგორიაში სხვაობას გვიჩვენებს მარკირების თვალსაზრისით. ქართული სამეტყველო ენა ამ კატეგორიას პრეფიქსული მარკირებით აღწერს, ხოლო შესტური კი სუფიქსური კინეტიკური მარკირებით გადმოსცემს იმავე სემანტიკას.

დამოწმებანი

- ბეიკერ-შენკი... 1991:** Baker-Shenk, Charlotte and Dennis Cokely. *American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture*. Clerc Books. Washington D.C., Gallaudet University Press, 1991.
- კენდონი 1994:** Kendon, Adam. "Human Gestures" In: *K.R. Gibson and T. Ingold (ed.) Tools, Language and Cognition in Human Evolution*. Cambridge, Cambridge University Press., 1994.
- კოსტელო 1994:** Costello, Elaine. *American Sign Language Dictionary*. Random House. NY., 1994.
- ლომთათიძე 1947:** ლომთათიძე ქეთევანი, „ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში“ *თსუ შრომები XXXb-XXXIb*, 1947, 411-419.
- მახარობლიძე 2012:** მახარობლიძე თამარი. ქართული უესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save Children International, თბილისი, 2012.
- მაჭავარიანი 2006:** მაჭავარიანი ნანა. სინტაქსურ მიმართებაში შემავალი ზმნური კატეგორიები აფხაზურსა და ქართულში. თბილისი, ინტელექტი, 2006.
- მიირი... 2006:** Meir, Irit, Carol Padden, Mark Aronoff and Wendy Sandler. Re-Thinking sign language verb classes: The body as subject. *Sign Languages: spinning and unraveling the past, present and future*. TISLR9, forty five papers and three posters from the 9th. Theoretical Issues in Sign Language Research Conference, Florianopolis, Brazil, 2006.

The Category of Version in Georgian Sign Language


Tamar Makharoblidze

Ilia State University

Unlike in spoken Georgian, the category of version in Georgian Sign Language (a local deaf community language) has been entirely neglected. The present paper is a first attempt at research into this category.

We propose the following model for the category of version in Georgian Sign Language:

Model I.



Such semantic differentiation within the forms of objective version is not unique to Georgian Sign Language. According to N. Machavariani (2006), the same model exists in spoken Abkhazian, where we have ‘harmful’ and ‘beneficial’ forms (cf. ‘respectful’ and ‘disrespectful’ forms) as opposition forms within the objective version. K. Lomtadze (1947) also describes the content of the same opposition of harmful and beneficial forms within the objective version in spoken Abkhazian. However, he does not consider reflexive forms of Abkhazian verbs as subjective version.

The category of version in Georgian Sign Language has no irregular forms; all verbs follow a unified model. Georgian Sign Language uses special gestures to express the grammatical and semantic content for the oppositional forms of version.

This two-handed symmetric sign is a marker of version in Georgian Sign Language. Independently it means ‘respect’. The objective version with this marker shows respect towards the indirect object.



Figure1: *The marker of respectful forms of objective version*

This is a sign with an extended thumb and little finger while the other fingers are bent into a fist. The palms are facing the body of the signer and the sign movement vector is directed up and forward. The same sign with a single hand can be used for an indirect object:




Figure2: *The marker of an indirect object*

This sign can be used instead of pronouns when they convey the meaning of an indirect object. This sign moves towards the location of the indirect object. If this marker of an indirect object is present, then we never have any markers of version and the verb conveys the meaning of objective version with a respectful form. According to the general rules of laconism, Georgian Sign Language never allows excesses. The existence of this marker frees the verb-argument word order.

The objective version can have the forms of respect or disrespect. The marker of disrespect is a single hand two-phase dynamic sign with the extended index finger and little fingers, other fingers being bent into a fist, and the palm facing down. Its location is at the chest and it moves forward.




Figure 3: *The marker of disrespectful forms of objective version*

Compare the following forms:



Figure 4: *vuk'eteb 'I do it for him/her/it'*



Figure 5: *vuk'eteb 'I do it for him/her/it'*

In these verbal forms *vuk'eteb* 'I do it for him/her/it' we present the verb alone, without its arguments. The first two photographs in Figure 4 depict the lexical parts of the verb, and the third and fourth photographs show the respectful forms of the markers of objective version. The same verb is in Figure 5 with the disrespectful forms of the objective version. The marker of disrespect is depicted in the third and fourth photographs. The latter form means that 'I do (I am doing) something unpleasant/not good for him/her/it'.

The marker of subjective version, which often appears in front of a verbal lexical sign, is a two-handed asymmetric sign. The right dominant hand with its

up-facing palm moves down onto the open up-facing palm of the passive left hand. The first position for the right hand is the trunk (chest) with a flattened C-handshape. In the second position when the right hand touches the open palm of the left hand the handshape is changed for the right hand: the fingers are bent and the thumb touches the index and middle fingers. This is also a marker of reflexivity. Its primary meaning is 'property' [Makharoblidze 2012].




Figure 6: *The marker of subjective version*

The arguments in most cases are represented by the sign pronouns. They also can be gesture nicknames or proper names rendered in the Georgian Dactyl Alphabet. In such cases the relation sign often follows the indirect object. The relation sign looks as follows:



Figure 7: *The relation sign*

This is a single hand two-phase sign with a pointing index finger, the other fingers are bent into a fist and the palm is facing down. This sign conveys the meaning of the dative case for the arguments. When an indirect object is represented by a pronoun there is no need to have this sign, but Georgian Sign Language prefers to use the sign of relation if another type of argument is represented by common nouns or finger-spelling for proper nouns. But some-

times in the latter case (when the argument is represented by the Dactyl Alphabet), in rare instances the dative case marker also can also be represented by the dactyls, copying the dative case form from spoken Georgian.

In the following forms we have not shown all arguments: only the subject and verbs are represented here. Compare the following forms:



Figure 8: *me vašeneb mas* ‘I am building (it)’

me vašeneb mas ‘I am building (it)’. This is a form of neutral non-specified version. The first drawing shows the subject: the personal pronoun, the first person singular – ‘I’. Such a subject is often missing in sign languages and the body acts as a subject (Meir ... 2006). The second and third drawings depict the verb ‘to build’. There is no version marker here. Unlike in spoken Georgian, the neutral version has always been zero-marked in Georgian Sign Language.



Figure 9: *me višeneb mas* ‘I am building (it for myself)’

me višeneb mas ‘I am building (it for myself)’. This is a form of subjective version and the fourth and the fifth drawings depict the subjective version marker.



Figure 10: *me vušeneb mas mas* ‘I am building (it for him/her/it)’.

me vušeneb mas mas ‘I am building (it for him/her/it)’. This is a form of objective version. The fourth and the fifth drawings depict the objective version marker with a respectful form.



Figure 11: *me vušeneb mas mas* ‘I am building (it) for him/her/it’.

me vušeneb mas mas ‘I am building (it) for him/her/it’. This is the objective version. The second drawing shows the third person indirect object in singular form. The third and fourth drawings depict the verb ‘to build’. The final fifth and sixth drawings depict the objective version marker with a disrespectful form.



Figure 12: *me vc'er mas* ‘I am writing it’.

me vc'er mas ‘I am writing it’. This is a bipersonal transitive form of the non-specified or neutral version. The subject is a first person singular personal pronoun – ‘I’ – and it is depicted in the first photograph. The second and third photographs show a two-handed asymmetric pantomimic sign with the dominant right hand. This pantomimic sign conveys the lexical meaning of the verb ‘to write’. The last photograph presents the direct object. Georgian Sign Language often does not mark the first person singular subject and the third person singular form of the direct object. Thus, this form could be depicted by the second and the third photographs alone with the same meaning.



Figure 13: *me vč'er mas mas* 'I am writing it to him/her/it.'

me vč'er mas mas 'I am writing it to him/her/it.' This is a tripersonal transitive form of the non-specified or neutral version. The last two photos depict the direct and indirect objects.



Figure 14: *me vac'er mas mas* 'I am writing it on/upon him/her/it.'

me vac'er mas mas 'I am writing it on/upon him/her/it.' This is a tripersonal transitive form of a non-specified or neutral version, known as the 'superessive'. In Georgian Sign Language there is no specific marker for the superessive. Each verb produces it at its own kinetic convenience. The fourth and fifth photographs show this superessive content. The last photograph indicates the indirect object. No direct object (the third person singular form) is shown here, as it is not obligatory.



Figure 15: *me vic'er mas* 'I am writing it (for myself).'

me vic'er mas 'I am writing it (for myself).' This is a bipersonal transitive form with subjective version. The subjective version marker is depicted in the fourth and fifth photographs after the verb, before the direct object, which is depicted in the last photograph. Sometimes the subjective version marker precedes the verb as it is in the following Figure 16:



Figure 16: *me vic'er mas* 'I am writing it (for myself).'

me vic'er mas 'I am writing it (for myself)'. The subjective version marker is depicted in the second and third photographs. It is before the verb and after the subject.



Figure 17: *me vuč'er mas mas* 'I am writing it for him/her/it.'

me vuč'er mas mas 'I am writing it for him/her/it'. This is a tripersonal transitive form with objective version. The indirect object marker is a single hand sign and it is depicted in the second and third photographs. This marker includes the content of the respectful form of the objective version as well, and therefore no additional objective version marker given here.



Figure 18: *me vuč'er mas mas* 'I am writing it for him/her/it.'

me vuč'er mas mas 'I am writing it for him/her/it'. This is a tripersonal transitive form with objective version. The indirect object follows the subject and the last two photographs depict the two-handed marker for the respectful form of the objective version.



Figure 19: *me vuč'er mas mas* 'I am writing it for him/her/it.'

me vuč'er mas mas 'I am writing it for him/her/it.' This is a tripersonal transitive form with objective version. The indirect object follows the subject, and the last two photographs depict the two-handed marker of the disrespectful form of the objective version.

The category of version is well-formed by the proper markers, in this case, signs. Costello writes about American Sign Language: 'In many cases meanings communicated by an affix in English are simply conveyed by separate independent signs in ASL' (Costello, 1994:??). When Georgian Sign Language copies the category of version from the spoken language, separate signs are used as the kinetic markers of version. These signs follow the verbal lexical root. Only the sign for the subjective version can appear before the verbal lexical root.

Georgian Sign Language copies the category of version from the spoken language adding respectful and disrespectful forms as internal sub-opposition forms of the objective version. Unlike spoken Georgian, Georgian Sign Language does not distinguish a passive mood, and the category of version has no different variations for transitive and intransitive verbs. It has a unified category system. This fact unifies all verbs in Georgian Sign Language into a single system for the category of version, without any irregular forms.

We have a difference in marking the category of version in terms of position. The markers of version are pre-radical vowels in spoken Georgian: that is, they are prefixes. In Georgian Sign Language we have suffixed marking (with one exception, that of subjective forms). The version signs follow the main lexical sign of a verb.

According to A. Kendon (1994) three types of gestures are defined in sign languages:

- A. Iconic gestures characterizing the object, action or phenomenon being described.
- B. Metaphoric gestures that represents a common metaphor.
- C. Deictic or pointing gestures.

In Georgian Sign Language the markers of objective version indicate a combination of metaphoric and deictic signs as, besides their primary seman-


tic content, these signs (as deictic signs) point to an indirect object. The marker of subjective version is a metaphoric sign.

Very often verbs from sign languages are translated as infinitives. In their book ‘American Sign Language’, C. Baker-Shenk and D. Cokely wrote about the verb ‘to give’: ‘unlike English, this verb rarely means simply “to give”. Instead, each form of the verb generally indicates a subject and an object. Unfortunately, the glossaries for such directional verbs in most sign language texts have given the false impression that these verbs are like the infinitive forms of English verbs (e.g. “to give”)’. These verbs should be considered together with their indications (Baker-Shenk and Cokely, 1991:248). For Georgian native speakers such an indication is natural because of the polypersonal nature of spoken Georgian, and such verbal forms are always translated in a proper way in spite of the fact that the morphological sign markers are naturally separated signs.

Usually the verbs in sign languages can indicate the arguments even in monopersonal languages and relying on the morphology of the polypersonal verbal system of spoken Georgian while copying the verbal categories the Georgian sign language has no morphological problems for displaying the polypersonal verbal category of version.

Conclusions

- The following model describes the category of version in Georgian sign language:



- The category of version in spoken Georgian and in Georgian Sign Language are compared. Georgian sign language copies the category of version from the spoken language, adding respectful and disrespectful forms to its model and reducing the irregular forms.

- Unlike spoken Georgian, Georgian Sign Language does not distinguish a passive mood, and version is the same for both transitive and intransitive verbs.

sitive verbs. It has a unified system of version. This fact unifies all Georgian Sign Language verbs into one system for the category of version, without any irregular forms.

- Spoken Georgian and Georgian Sign Language show a difference in marking the forms for the category of version. The version markers are pre-radical vowels in spoken Georgian, while in Georgian Sign Language we have suffixed kinetic marking for the same category, as the version markers are post-radical signs.

Bibliography

- Baker-Shenk ...1991:** Baker-Shenk, Charlotte & Dennis Cokely. American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture. Clerc Books. Washington D.C., Gallaudet University Press, 1991.
- Costello 1994:** Costello, Elaine. American Sign Language Dictionary. New York, Random House, 1994.
- Kendon 1994: Kendon, Adam.** "Human Gestures" In: *K.R. Gibson and T. Ingold (ed.) Tools, Language and Cognition in Human Evolution*. Cambridge, Cambridge University Press, 1994.
- Lomtadidze 1947:** Lomtadidze, Ketevan. "kcevis k'at'egoriisatvis apxazur zmnaši" [For the category of version in the Abkhazian verb]. Tbilisi, *TSU šromebi XXXb-XXXIb*, 1947, 411-419.
- Machavariani, Nana 2006.** Machavariani, Nana. sint'aksur mimartebaši šemavali zmnuri k'at'egoriebi apxazursa da kartulši [The verbal categories in syntactic relations in Abkhazian and Georgian]. Tbilisi, Intelekti, 2006.
- Makharoblidze 2012:** Makharoblidze, Tamar. kartuli jesturi ena [Georgian Sign Language] Ministry of Education and Science, USIAD, Save the Children International. Tbilisi, 2012.
- Meir ... 2006:** Meir, Irit, Carol Padden, Mark Aronoff and Wendy Sandler. Re-Thinking sign language verb classes: The body as subject. *Sign Languages: spinning and unraveling the past, present and future*. TISLR9, forty five papers and three posters from the 9th. Theoretical Issues in Sign Language Research Conference, Florianopolis, Brazil, 2006.